# საქართველო
# წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ48.482303112

თარიღი:31/01/2023

## „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის" (ს/კ 421271206) საშტატო ნუსხისა და სახელფასო განაკვეთების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 01 ივნისის №31 1653 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.ბ" ქვეპუნქტის, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის" საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის №10 (№გ-49.49230272) განკარგულების, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის„ (ს/კ 421271206) წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ„ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 06 ივნისის №31 1729 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტისა და ა(ა)იპ „წყალტუბოს ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის " დირექტორის 2023 წლის 25 იანვრის №33/3 წერილის შესაბამისად,

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შეტანილ იქნას ცვლილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის" (ს/კ 421271206) საშტატო ნუსხისა და სახელფასო განაკვეთების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 01 ივნისის №31 1653 ბრძანებაში და ამ ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართი №1-ის შესაბამისად.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ა(ა)იპ ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის დირექტორს (ნ.ნემსწვერიძეს).

3. ბრძანება ძალაში შევიდეს 2023 წლის 1 თებერვლიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, გუმრაძის ქ. №11). კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

ა(ა)იპ ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი"

დანართი 1

2023 წლის საშტატო ნუსხა

| # | თანამდებობის დასახელება | საშტატო ერთეული | განაკვეთის ღირებულება |
|---|---|---|---|
| | სულ | 18.0 | |
| 1 | დირექტორი | 1 | 1980 |
| 2 | შესყიდვების მენეჯერი | 1 | 900 |
| 3 | საქმის მწარმოებელი | 1 | 700 |
| 4 | ბუღალტერი | 1 | 980 |
| 5 | სოც.მუშაკი | 1 | 760 |
| 6 | პედაგოგი სპეც. განათლებით | 1 | 760 |
| 7 | ხელოვნების პედაგოგი | 1 | 760 |
| 8 | ადრ.განვითარების პედაგოგი | 1 | 760 |
| 9 | ფსიქოლოგი | 1 | 760 |
| 10 | მეტყველების სპეციალისტი | 1 | 760 |
| 11 | პედაგოგის თანაშემწე | 2 | 600 |
| 12 | მზარეული | 1 | 600 |
| 13 | მზარეულის თანაშემწე | 1 | 400 |
| 14 | დამლაგებელი | 1 | 500 |
| 15 | მძღოლი | 1 | 800 |
| 16 | დარაჯი | 2 | 350 |

2023-ში
ივნისი – 11220
დანარჩენი 11 თვე – 13320×11=146520 } 157740